პროექტი

საქართველოს კანონი

"სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ"
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** "სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ "საქართველოს კანონის (გამოქვეყნებულია საქართველოს აკანონმდებლო მაცნე №9 26,.94.2002 მუხ. 43) მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის საქვეუწყებო დაწესებულება – ფინანსური მონიტორინგის სამსახური ახორციელებს ფასიანი ქაღალდებისა და შეთავაზებების რეგისტრაციას, რომლის სარეგისტრაციო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ფასიანი ქაღალდების საერთო ღირებულების 0.5 %-ს.".

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასრულების შემდეგ.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი